AT THE ORIGINS OF SOCIETY SHEVARDENI

საზოგადოება „შევარდენის“ სათავეებთან[1]

GOCHA KUCHUKHIDZE

Doctor of Philological Sciences
TSU, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Senior Researcher
Georgia, Tbilisi, Davit Guramishvili Ave. 33/I; Apt. 24, 0180
gochakuchukhidze@tsu.ge
ORCID 0000-0002-8707-6766
+995599072945

KETEVAN SHARABIDZE

The Georgian National Museum, Georgian Sports Museum
Chief Specialist
Georgia, Tbilisi, Sergo Zakhariadze ST. 8; 0186
keti.sharabidze@gmail.com
ORCID 0009-0009-0662-0749
+995591251818

Abstract: *Society Sokol* was established in 1862, in Prague, under the leadership of Miroslav Tyrš (1832-1884 /writer, art scientist, doctor of philosophy). Further, similar societies were established in many countries... In analogy of Czech *Sokol* on August 25, 1918 Giorgi Nikoladze (1888-1931 /mathematician, metallurgist, athlete) in Tbilisi founded the *Shevardeni Society* (“Shevardeni” means falkon in Georgian).

The society with such name has not formed “from nothing”; it is regarded that in 1900, in Tiflis (pre-1936 name of Tbilisi) there was officially registered the Gymnastic Society which, in 1907, was permitted to take name *Sokol (Сокол).* In 1882, in Moscow, there was developed the charter of the gymnastics society and further, in 1883, it was adopted. In 1907 this society was also permitted to take name *Sokol.* At National Archives of Georgia, there is preserved the document – charter of the gymnastics society in Russian language, approved by the head of Caucasian central administration, General-Lieutenant Staroselski on 18 March 1881. As *Shevardeni* was established on the basis of its preceding organizations, all above provides grounds to offer the question, whether it should be regarded that the history of *Shevardeni* and generally, *Sokol movement* in Tsarist Russia commenced

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (FR-23-3503).

in 1881 and this occurred in Tbilisi. Charter adopted in the mentioned year in Georgia, possibly does not evidence the fact that the gymnastics society has commenced extensive activities in 1881, but the fact of existence of the charter indicates that this society since that time already existed officially, it was engaged in exercising and in 1900 it commenced extensive practical activities..

Our work expresses the opinion that, in general, in Tsarist Russia the history of the creation *at the high governmental level* of the Gymnastics Society also began in Tbilisi in 1881.

The article contains illustrations with the postcards created for Prague festivals; here are also the pictures by Georgian painter, Valerian Sidamon-Eristavi, depicting Georgian sports garments specially designed for *Shevardeni.*

Keywords: Shevardeni Movement; Sokol Society; Gymnastics Societies in Tsarist Russia.

გოჩა კუჭუხიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველო, თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 33/I; ბ. 24, 0180.
gocha.kuchukhidze@tsu.ge
ORCID 0000-0002-8707-6766
+995599072945

ქეთევან შარაბიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული სპორტის მუზეუმი
მთავარი სპეციალისტი
საქართველო, თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქუჩა, 8; 0186
keti.sharabidze@gmail.com
ORCID 0009-0009-0662-0749
+995591251818

აბსტრაქტი: საზოგადოება „სოკოლი“ (“Sokol”) 1862 წელს პრაღაში მიროსლავ ტირშის (1832-1884/ლიტერატორი, ხელოვნებათმცოდნე, ფილოსოფიის დოქტორი) თაოსნობით ჩამოყალიბდა. ამ საზოგადოების ანალოგიები შემდგომში არაერთ ქვეყანაში შეიქმნა...

ჩეხური „სოკოლის“ ანალოგიით ტფილისში გიორგი ნიკოლაძემ (1888-1931/ მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი) 1918 წელს საზოგადოება „შევარდენი“ დააარსა. ხსენებული სახელის მქონე საზოგადოება „ცარიელ ადგილას“ არ აღმოცენებულა; როგორც მიჩნეულია, 1900 წელს ტფილისში ოფიციალურად გაფორმდა „სატანვარჯიშო საზოგადოება“, რომელსაც 1907 წელს ნება მიეცა, სახელი „სოკოლი“ (“Сокол”) ეტარებინა. 1882 წელს მოსკოვში დაამუშავეს და 1883 წელს მიიღეს სატანვარჯიშო საზოგადოების

წესდება და 1907 წელს ამ საზოგადოებასაც მისცეს სახელ „სოკოლის“ ტარების უფლება. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება დოკუმენტი, – სატანვარჯიშო საზოგადოების რუსულენოვანი წესდება, რომელიც 1881 წლის 18 მარტს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალი-ლეიტენანტ სტაროსელსკის მიერ არის დამტკიცებული; რამდენადაც „შევარდენი“ წინამორბედი ორგანიზაციების საფუძველზეა დაარსებული, ეს ყოველივე გამოგვათქმევინებს მოსაზრებას, რომ „შევარდენისა“ და, საერთოდ, მეფის რუსეთში „სოკოლური მოძრაობის“ ისტორია 1881 წლიდან უნდა დავიწყოთ და რომ ტფილისში იღებს ეს ისტორია სათავეს. ხსენებულ წელს საქართველოში მიღებული წესდება, შესაძლოა, არ მეტყველებდეს იმ ფაქტზე, რომ 1881 წელს აქტიური მოღვაწეობა დაიწყო „სატანვარჯიშო საზოგადოებამ“, მაგრამ წესდების არსებობის ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ხსენებული წლიდან ოფიციალურად უკვე არსებობდა ეს საზოგადოება, ატარებდა ვარჯიშებს და 1900 წელს კი აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუდგა.

ნაშრომში გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ, საერთოდ, მეფის რუსეთში სატანვარჯიშო საზოგადოების *მაღალ სახელმწიფო დონეზე* შექმნის ისტორიაც 1881 წელს ტფილისიდან იწყება.

სტატიაში წარმოდგენილია ილუსტრაციები, რომლებზედაც პრაღის ფესტივალებისთვის შექმნილი ღია ბარათებია წარმოდგენილი; აქვეა ქართველი მხატვრის – ვალერიან სიდამონ-ერისთავის ნახატები, რომლებზეც სპეციალურად „შევარდენისთვის“ შექმნილი ქართული სპორტული ტანისამოსია გამოსახული.

საძიებო სიტყვები: *საზოგადოება „შევარდენი“; სოკოლური მოძრაობა, სატანვარჯიშო საზოგადოებები მეფის რუსეთში.*

შესავალი: საქართველოში 1918 წლის 25 აგვისტოს დაარსდა საზოგადოება „შევარდენი“; მანამდე ტფილისში არსებობდა მსგავსი ტიპის გაერთიანებები: „სოკოლი“, „ამირანი“ და „სატანვარჯიშო საზოგადოება“... ნაშრომში იმის შესახებ არის მსჯელობა, თუ რა მსოფლმხედველობა ასაზრდოებდა „შევარდენსა“ და მის წინამორბედ ორგანიზაციებს და რომელი წლიდან იწყება მეფის რუსეთში ტანვარჯიშისა და *სოკოლური მოძრაობის* ისტორია, რომელ წელს დაიწყო ქართულმა ტანვარჯიშმა ოფიციალურ დონეზე არსებობა და ისტორიის რა პერიოდშია საძიებელი საზოგადოება „შევარდენის“ საწყისები...

მეთოდები: კვლევა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ არქივში, ქართული სპორტის მუზეუმში, სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულსა და კერძო კოლექციაში დაცულ დოკუმენტურ მასალებს; გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, წყაროთმცოდნეობითი მეთოდოლოგია...

მსჯელობა და შედეგები: საზოგადოება „შევარდენი“, რომლის სათავეებთანაც იდგნენ: გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, კაკო კაკაბაძე, თამარ ნიკოლაძე, გაიოზ ბერელაშვილი, თამარ ბერელაშვილი, დავით ჯავრიშვილი, პლატონ ლეჟავა, ირაკლი ლორთქიფანიძე, არჩილ ბაქრაძე და სხვები, მხოლოდ სპორტული ორგანიზაცია არ ყოფილა, მისი მოღვაწეობა მოიცავდა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ფილოსოფია, პოლიტოლოგია,

სოციოლოგია, მედიცინა, ხელოვნებათმცოდნეობა, მხატვრული ლიტერატურა, განათლება... როგორც ამ საზოგადოების მიერ გამოცემული ჟურნალებისა და ბროშურების შესწავლის შედეგად ირკვევა, „შევარდენის“ უმთავრესი მიზანი სულიერ-ფიზიკური მშვენიერებისაკენ სწრაფვა იყო, მიაჩნდათ, რომ ადამიანი მაღალზნეობრივი უნდა იყოს და აუცილებელია, ასეთმა ადამიანებმა წარმართონ პოლიტიკური ცხოვრება; მათი შეხედულებით, საჭიროა, რომ ცხოვრებაში მშვენიერების დამკვიდრებას ესწრაფოდეს პოეზია და პროზა, ხელოვნების სხვადასხვა დარგი, რომ ადამიანი ჰარმონიულად განვითარებული – სულიერადაც მშვენიერი უნდა იყოს და – ფიზიკურადაც; ფიზკულტურა, ადამიანის გარეგნული გალამაზების გარდა, უპირველესად მის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალებად მიაჩნდათ (ფიზიკური კულტურის მასწავლებელს, მწვრთნელს, „მკურნალს“ უწოდებდნენ „შევარდენის“ წარმომადგენლები); სპორტი ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საშუალებად ესახებოდათ, ყველა ხალხთან მეგობრობას ესწრაფოდნენ და, ცხადია, სამშობლოს დაცვას, პატრიოტიზმს აცხადებდნენ საქართველოში მცხოვრები ყოველი ერის ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობად; სიცოცხლის სიყვარული ასაზრდოებდათ, მაგრამ მიიჩნევდნენ, რომ, თუ სხვა გზას ვეღარ ხედავდნენ, სამშობლოსათვის თავგანწირვა უნდა შეძლებოდა პატრიოტს. „შევარდენის“ მსოფლმხედველობა ქრისტიანობაზე იყო დაფუძნებული, საზოგადოების ემბლემაზე, ჟურნალის გარეკანსა, თუ სამკერდე ნიშნებზე მხატვარ კარელ სოუჩეკის მიერ დახატული წმიდა გიორგი და ქრისტიანული ტაძრები (სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი) იყო გამოსახული, ეწერა სიტყვა „საქართველო“ (ილუსტრაციები: 1, 2, 3); ჰქონდათ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ შექმნილი ეროვნული სპორტული ტანისამოსის მოდელები (შევარდენი, 1922: 114 /ილ.: 13, 14, 15, 16, 17, 18/; აქ ხსენებული და სხვა ილუსტრაციები იხ. შემდეგ გამოცემებსა და ინტერნეტსაიტებზე: სოკოლი, 2012; შევარდენი, 1922; ტრენიხინი, მ. 2021; სოკოლის მუზეუმი. სიდამონ-ერისთავის მიერ შესრულებული ნახატები, „შევარდენის“ სამკერდე ნიშანი და ტფილისის „სოკოლის“ წესდება დაცულია ქართული სპორტის მუზეუმში...), მათ შორის მისალმების ასეთი ფორმა იყო დამკვიდრებული: *„გუშაგობ ერს“,* პასუხი სამჯერ: – *„მარად“* (მიჩნეულია, რომ ოლღა გურამიშვილია /ნიკო ნიკოლაძის მეუღლე/ მისალმების ამ ფორმის ავტორი), მათ ჟურნალში პატრიოტულ ლექსებს ბეჭდავდნენ: შიო მღვიმელი, ივა (ივანე) ყიფიანი, სეზმან ერთაწმინდელი, ივანე ბერიძე (შევარდენი, 1920: 7)... არსებობს გადმოცემა, რომ „შევარდენისთვის“ ჰიმნის მუსიკა ევგენი მიქელაძეს დაუწერია... „შევარდნებმა“ (ასე უწოდებდნენ საზოგადოების წევრები საკუთარ თავს) შეიმუშავეს ქართული სპორტული ტერმინოლოგია... ამგვარი სულისკვეთების დამკვიდრებას ისახავდა ეს საზოგადოება მიზნად, ღვთისა და ადამიანის სამსახური იყო მათი უმთავრესი მიზანი...

როგორც ჩანს, ეს ყოველივე ჩამორჩენილობად, ნაციონალიზმის ნიშნების შემცველად აღიქვა გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებამ და 1922 წელს საქართველოში გააუქმეს „შევარდენი“... სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიზნებით არსებული ამგვარი ორგანიზაციები მოგვიანებით ნაცისტურმა გერმანიამ გააუქმა თავისზე დაქვემდებარებულ ქვეყნებში, 1948 წელს კი მთელ საბჭოთა კავშირში აიკრძალა *სოკოლური მოძრაობა...*

ცნობილია, რომ *სოკოლური ორგანიზაციები* და, მათ შორის, ქართული „შევარდენი“ ჩეხი საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფიის დოქტორის, ხელოვნებათმცოდნის – მიროსლავ ტირშის (1832-1848) და ბიზნესმენ ინდრიჯ ფიუგნერის (1822-1865) მიერ პრაღაში 1862 წელს დაარსებული „სოკოლის“ ანალოგიით შეიქმნა. ჩეხური საზოგადოება ავსტრია-უნგრეთისაგან ჩეხი ხალხის გათავისუფლების, ჩეხებში ეროვნული სულისკვეთების აღორძინების მიზნით დაარსდა. ჩეხების შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძვლებს ძველბერძნული კალოკაგათია წარმოადგენდა, სულიერი და ფიზიკური მშვენიერება იყო მათი მსოფლმხედველობითი საფუძველი და ამ მსოფლმხედველობის ჩეხურ ნიადაგზე გადანერგვა გახლდათ მათი მიზანი; ძველი ელინური ესთეტიკა ჩეხურ ეროვნულ სულს მოარგეს, ჩეხური პატრიოტული ელემენტები შეიტანეს მასში და ასე ცდილობდნენ ჩეხ ხალხში ეროვნული სულის გაძლიერებას. შემდგომ და შემდგომ ეს მოძრაობა გაძლიერდა და ჩეხები იმ დიდ საერთაშორისო ფესტივალებს მართავდნენ, რომლებშიც, სპორტულ შეჯიბრებათა გარდა, ეროვნულ სულიერებაზე დაფუძნებულ წარმოდგენებს დგამდნენ, ეროვნულ ცეკვებს, სიმღერებს ასრულებდნენ. ამ ფესტივალებისადმი მიძღვნილ პლაკატებსა თუ საფოსტო მარკებზე, ემბლემებზე ვხედავთ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ ჯანსაღსა და ლამაზ ქალ-ვაჟებს, რომლებიც ძველ ელინებსაც გვანან, მაგრამ უპირველესი, რაც გამოარჩევთ, ეროვნული სულია (ილ.: 4, 5, 6, 7). თითქოს მზიურ ენერგიასთან არიან წილნაყარნი და მზის ენერგიით გახლავან აღვსებულნი ეს ასულები და ვაჟები, ბავშვები. ამ ესთეტიკაში კარგად ჩანს ის „ეროვნული ენერგია“ („შევარდენის“ დამფუძნებელი კრების წევრისა და ამ საზოგადოების დიდი ქომაგის – გერონტი ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ), რომელსაც ეროვნული სულის ასაღორძინებლად განუზომელი სიკეთის მოტანა ძალუძს (აქ გავიხსენებთ, რომ გერონტი ქიქოძე 1916 წელს დაწერილ წერილში – „ფიზიკურ აღზრდისათვის“ დიდად აფასებდა ჩეხურ „სოკოლს“ და ქართველთათვის მისაბაძ საზოგადოებად მიიჩნევდა მას /იხ. ქიქოძე, გ. 1919: 186-187; კუჭუხიძე, გ. 2024: 338); ამ ადამიანებში, მათ სამოსსა თუ ფიზიკურ გარეგნობაში, ეროვნულ იერსა და ელფერს ვხედავთ და მოჩანან სამშობლოს სოყვარულით სავსე ადამიანები, რომლებიც მის სადარაჯოზე დგანან და ამ სულისკვეთებით ზრდიან შვილებს; ამავე პლაკატებს შორის მოჩანს ისეთები, ხალხთა მეგობრობას რომ უწევს პროპაგანდას (ილ. 8...). ტირშის მიერ დაარსებული საზოგადოების ანალოგიით არაერთ სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ ორგანიზაციათა მსოფლმხედველობა და მიზნები არაერთ შემთხვევაში განსხვავებული იყო, ესთეტიკაც განასხვავებდა, თუმც უმთავრესი, რაც მათ აერთიანებდა, სულიერ-ფიზიკური განვითარება, ძლიერი ადამიანის აღზრდა და, არა ყოველთვის და ყველგან, მაგრამ უმეტესწილად, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება გახლდათ... ქართველმა „შევარდნებმა“ უპირველეს მისაბაძ მაგალითად პრაღის „სოკოლი“ დაისახეს, ჩეხების მსგავსად განავითარეს კალოკაგათიის ცნება, როგორც ითქვა, ქრისტიანობას დააფუძნეს ქართული ორგანიზაცია და ასე ემსახურებოდნენ თავიანთ იდეალებს...

ხსენებული საკითხების შესახებ გაცილებით ვრცლად სხვა ნაშრომებში გვაქვს საუბარი (კუჭუხიძე, გ. 2024; კუჭუხიძე, გ. შარაბიძე, ქ. 2025), ამიტომ ამჯერად ძირითადად

„შევარდენისა“ და, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში *სოკოლური მოძრაობისა* და სატანვარჯიშო საზოგადოებათა დაარსების ისტორიის შესახებ ვისაუბრებთ:

როგორც მიჩნეულია, 1900 წელს ტფილისში დაფუძნდა „სატანვარჯიშო საზოგადოება“ (იხ. რუსული სოკოლი), რომელსაც ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორი ლევ მარკოვი, ჩეხეთიდან ფიზკულტურისა და სპორტის განსავითარებლად მოწვეული სპორტსმენები: იულეს გრუმლეკი და ანტონ ლუკეში ხელმძღვანელობდნენ.[2] გრუმლეკი ლევ მარკოვმა 1881 წელს მოიწვია ტფილისში და 1889-ში ჩამოვიდა იგი, ლუკეში კი სოკოლის რეკომენდაციით ეწვია საქართველოს და 1896 წლიდან ტფილისის ვაჟთა გიმნაზიაში ტანვარჯიშის მასწავლებელი გახდა (ანტონ ლუკეში, ქართული ენციკლოპედია). ხსენებულ საზოგადოებას 1907 წელს „სოკოლი“ ეწოდა და, როგორც მიჩნეულია, ეს ფაქტი რუსეთის სახელმწიფოში *სოკოლური მოძრაობის* დასაწყისად არის მიჩნეული (აღსანიშნავია, რომ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, *სოკოლურ მოძრაობის* მხარდამჭერები იყვნენ: პიოტრ სტოლიპინი, ლევ ტოლსტოი, ანტონ ჩეხოვი... /“В 1907 Тифлисское гимнастич. об-во стало называться «Сокол», что принято считать началом сокольского движения в Росии. Оно поддерживалось П. А. Столыпиным, Л. Н. Толстым, А. П. Чеховым и др.”; იხ. რუსული სოკოლი); პაატა ნაცვლიშვილის აღნიშვნით, 1907 წელი *„რუსეთში სოკოლური მოძრაობის ოფიციალურ დასაბამად ითვლება“*(ნაცვლიშვილი, 2022: 248).

1882 წელს მოსკოვში დაამუშავეს და **1883 წელს** მიიღეს სატანვარჯიშო საზოგადოების წესდება (ბელიაევი, ი. ს. 1909: 14-18; /1883 წელს წესდების მიღების ფაქტი, ცხადია, გიმნასტიკური საზოგადოების დაარსების ფაქტსაც გულისხმობს), **1907 წელს** მოსკოვის საზოგადოებას ასევე სახელი „სოკოლი“ ეწოდა. ჩვენს ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ არსებობს დოკუმენტი, – **1881 წლის 18 მარტს ტფილისში მიღებული სატანვარჯიშო საზოგადოების რუსულენოვანი წესდება** (“Уставъ Тифлисскаго Гимнастическаго Общества”), რომელიც მაღალ სახელმწიფო დონეზე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის – გენერალი-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის მიერ არის დამტკიცებული (წესდებაზე გაკეთებული წარწერის თანახმად, – “Исправляющій дольжность Намѣестника Кавказскаго уставъ сей изволилъ утвердить. /Начальникъ Главнаго Управленія, Генералъ-Лейтенантъ Старосельскій. /18 Марта 1881 года”; /საქართველოს ეროვნული არქივი; საისტორიო ცენტრ. არქ., ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 677; გვ. 13); რამდენადაც 1918 წელს შექმნილი „შევარდენი“ წინამორბედი ორგანიზაციების საფუძველზეა დაარსებული, ეს ყოველივე ქმნის საფუძველს, დაისვას საკითხი: ხომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ **მეფის**

[2] ზემოხსენებული სატანვარჯიშო საზოგადოების დაარსების საკითხთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ხშირ შემთხვევაში 1889 წელია დასახელებული მისი დაარსებისა და, საერთოდ, ქართული ტანვარჯიშის დასაწყისის თარიღად /სპორტული ტანვარჯიში; სპორტული სახეობები.../, – ჩანს, ამ შემთხვევებში ტფილისში გრუმლეკის ჩამოსვლის ფაქტს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებული და ამიტომ არის საზოგადოების შექმნის თარიღად 1889 წელი მიჩნეული... ტფილისის სატანვარჯიშო საზოგადოების **ოფიციალურად** დაარსებასთან დაკავშირებული საწყისის ძიებას კი, ჩვენი აზრით, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, უფრო ადრინდელ თარიღთან მივყავართ...

რუსეთში „სატანვარჯიშო საზოგადოების“ ***მაღალ ოფიციალურ დონეზე*** **დაარსებისა და ასევე ქართული „შევარდენისა“ და, საერთოდ, რუსეთის სახელმწიფოში** ***სოკოლური მოძრაობის*** **ისტორია ტფილისიდან 1881 წელს იღებს სათავეს**, რომ 1883 წელს მოსკოვში მიღებული წესდება დიდწილად **1881 წლის ტფილისურ წესდებას ეფუძნება** და ჩეხების გამოცდილებას თავ-თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ორივე საზოგადოება იზიარებდა[3] (ზემოხსენებული ლევ მარკოვი ჩეხეთიდან **უპირველესად სწორედ ჩეხური გამოცდილების გასაზიარებლად** მოიწვევდა ტფილისში ჩეხ პედაგოგს – იულეს გრუმლეკს; არ ჩანს საეჭვო, ძირითადად **ჩეხური „სოკოლის“ იდეებს რომ დაეფუძნა ტფილისის სატანვარჯიშო /გიმნასტიკური/ საზოგადოება**); ხსენებულ წელს ტფილისში მიღებული წესდება, შესაძლოა, არ მეტყველებდეს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში 1881 წელს ფაქტობრივად აქტიური მოღვაწეობა დაიწყო გიმნასტიკურმა საზოგადოებამ, მაგრამ მაღალ სახელმწიფო დონეზე დამტკიცებული წესდების არსებობის ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ოფიციალურად უკვე არსებობდა ეს საზოგადოება, ატარებდა ვარჯიშებს, სხვადასხვა ღონისძიებას და 1900 წელს კი **აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუდგა**; **1881 წელს** მოწვეული იულეს გრუმლეკი, როგორც ითქვა, აქ 1889 წელს ჩამოვიდა და საფიქრებელია, რომ გიმნაზიაში ტანვარჯიშის მასწავლებლად მუშაობითა და მისი და სხვათა სხვადასხვაგვარი მოღვაწეობით საფუძველი მზადდებოდა იმისთვის, რომ მანამდე უკვე გაფორმებული და მოქმედი ორგანიზაციის მუშაობა გაფართოებულიყო და მთელი ძალით ამოქმედებულიყო ეს ორგანიზაცია; იგივე ითქმის ჩეხი პედაგოგის – ბ. პეტრუჩეკის შესახებ, რომელმაც 1882 წელს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, როგორც ეს პაატა ნაცვლიშვილს აქვს აღნიშნული, ტანვარჯიშისა და ფარიკაობის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და საქართველოში 1896 წლამდე დარჩა (ნაცვლიშვილი, 2022: 248)... საერთოდ, ოფიციალურად დამტკიცებული *წესდების არსებობის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს ამ წესდებასთან დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფი, მისი შემქნელი ორგანიზაცია,* რომელიც *ამა თუ იმ სახით* მოქმედებს, შრომობს და შემდგომში ფართოვდება მისი შრომა... ვფიქრობთ, გვაქვს საკმაოდ მტკიცე საფუძველი, მივიჩნიოთ, რომ **1881 წელია რუსეთის იმპერიაში გიმნასტიკური საზოგადოებისა და სოკოლური მოძრაობის ოფიციალურ დონეზე დაწყების თარიღი**...

როგორც ითქვა, არაერთ შემთხვევაში სოკოლური მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ხასიათისა იყო, განსხვავებულ მიზნებს ისახავდა, – ზოგან ყველა ხალხის მეგობრობას უჭერდნენ მხარს და ზოგან კი სლავ ხალხთა ერთობის იდეას ანიჭებდნენ უპირატესობას... იმპერიაში არსებულ რუსულ საზოგადოებათა წევრები **სხვადასხვა პერიოდში** ზოგჯერ თუ სლავი ხალხების გაერთიანების იდეის მხარდამჭერები იყვნენ, ზოგჯერაც მხოლოდ რუსი ხალხის, მისი კულტურის დაწინაურება იყო მათი მიზანი

[3] მეფის რუსეთში გიმნასტიკის განვითარებაზე საუბრისას, რა თქმა უნდა, იმ რუსი და რუსეთში მოღვაწე უცხოელი გიმნასტების დამსახურების დავიწყებაც არ შეიძლება, რომლებსაც სახელმწიფოში გიმნასტიკური საზოგადოების **მაღალ ოფიციალურო დონეზე დაარსებამდე**, **1870-იანი წწ-დან**, თავიანთი სატანვარჯიშო ჯგუფები ჰქონდათ შექმნილი, რითაც, ცხადია, სახელმწიფოში ფიზკულტურისა და სპორტის ამ სახეობის გავრცელებას უწყობდნენ ხელს...

(დევიზი გახლდათ: "Русское сокольство – только для русских" /იხ. სოკოლური მოძრაობა; ცალკეულ ორგანიზაციათა ისტორია ამ მხრივ საგანგებო შესწავლას საჭიროებს)... **ტფილისში 1907 წელს დარეგისტრირებული „სოკოლი" პანსლავური და მსგავსი იდეების გამტარებელი რომ არ იყო, ამ ფაქტზე უპირველესად მისი წესდება მეტყველებს**;[4] მასში მხოლოდ ფიზიკურ აღზრდაზეა ყურადღება გამახვილებული; **ასევეა „ტფილისის გიმნასტიკური საზოგადოების" 1881 წლის წესდებაშიც** (მასში საზოგადოების მიზნების შესახებ არის საუბარი: აღნიშნულია, რომ საერთო კრების გასამართავად საჭიროა, ¼ წევრი ესწრებოდეს კრებას, რომ მხოლოდ მამაკაცებს აქვთ საზოგადოების წევრობის უფლება, რომ წევრთა რიგებში 18 წლამდე ასაკისანი არ მიიღებიან და სხვ.);[5] **ამ საზოგადოების საფუძველზე** დაარსებული **ტფილისური „სოკოლის"** (მწვრთნელი – გიორგი ეგნატაშვილი) დევიზი იყო: *„ფიქრში სამშობლო, გულში სიმარდე და მკლავში – ძალა"*, ტფილისის „სოკოლის" დაარსების მოთავის, ტანვარჯიშის მასწავლებლისა და საფეხბურთო კლუბ „კომეტას" ერთ-ერთი დამაარსებლის (1906 წ.), ქართული სპორტის დიდი ქომაგის, **შემდგომში „შევარდენის" საპატიო წევრის** – ანტონ ლუკეშის (ანტონ ლუკეში, ქართული ენციკლოპედია) და ამ საზოგადოების წინამორბედი

[4] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მონაცემის თანახმად, 1909 წელს დაარსდა ტფილისური „სოკოლი (ანტონ ლუკეში, ქართული ენციკლოპედია), მაგრამ ხსენებულ წესდებაზე დაარსების თარიღად გარკვევით არის აღნიშნული **1907 წელი**: "По журнальному постановленію Тифлисскаго Губернскаго по дѣламъ объ обществахъ Присутсвія 30 Сентября 1907 года "Тифлисское Гимнастическое общество "Соколъ" внесено въ реестръ подъ №57, настоящій уставъ утвержденъ и къ возникновенію дѣятельности означеннаго общества препиятствій не встрѣчается. Октября 6 дня 1907 года. /И. д. Тифлисскаго Губернатора, И. д. Вице Губернатора *А. Чернявскій*.").

[5] *ტფილისის გიმნასტიკური საზოგადების* შესახებ აქვე დავძენთ: ხსენებულ საზოგადოებაშიც რომ ზრუნავდნენ ქართული ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებისთვის, ამას ის ფაქტიც გვაფიქრებინებს, სტაროსელსკის მიერ რომ არის დამტკიცებული 1881 წლის წესდება, – დიმიტრი სტაროსელსკი (ილია ჭავჭავაძის ქვისლი) საქართველოს პატრიოტი და ილია ჭავჭავაძის თანამდგომი იყო და საფიქრებელია, რომ ამა თუ იმ სახით **წვლილი (ეგებ – გადამწყვეტი) შეიტანა მან ამ საზოგადოების დაარსებაში**, რომ, იქნებ შეფარულად, მაგრამ **ქართულ ეროვნულ საქმესაც ძალუმად ემსახურებოდა *ტფილისის გიმნასტიკური საზოგადოება*,** რომ მომავალი ეროვნული ადამიანებისთვის სამოღვაწეო ნიადაგს ამზადებდა იგი (ხსენებული საზოგადოების წესდება 1881 წელს რომ დამტკიცდა და ტფილისში **სწორედ ამ წელს** რომ მოიწვიეს იულეს გრუმლეკი, რომელიც, როგორც ზემოთ, ჩვენს ძირითად ტექსტში, იქნება ნათქვამი, უეჭველია, სხვებთან ერთად ქართული ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების საქმესაც რომ ემსახურებოდა, შემთხვევით არ უნდა იყოს მომხდარი, – საქართველოში, ჩანს, სწორედ ხსენებულ წელს (ან უფრო ადრეც) დაიწყეს ეროვნული სულის აღორძინებისთვის ჩეხური გამოცდილების გაზიარება, რაც გიმნასტიკური საზოგადოების წესდების დამტკიცებასა და გრუმლეკის მოწვევის ფაქტებში აისახა; ეს ორი ფაქტი უშუალოდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული)... ჩვენი აზრით, **დიმიტრი სტაროსელსკის ბიოგრაფიისა და მის დამსახურებათა შესწავლისას მომავალში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, მის მიერ რომ არის დამტკიცებული ტფილისის გიმნასტიკური საზოგადოების წესდება**...

„გიმნასტიკური საზოგადოებისა“ და ტფილისური „სოკოლის“ სათავეებთან მდგომი იულეს გრუმლეკის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული სპორტის განვითარება, ჩეხების გამოცდილების გაზიარება რომ იყო, ქართული ეროვნული სულის განვითარებას რომ ემსახურებოდნენ ისინი და საქართველოში მათი მომწვევები და თანამდგომები, ამას მათი ბიოგრაფიებიდან, საქართველოში ჩამოსვლის შემდომი მოღვაწეობიდან სრულიად ნათლად ვხედავთ; პრაღის ფესტივალებზე (1907 და 1912 წწ.) ტფილისური „სოკოლის“ სახელით მოასპარეზე და ამ გუნდის „ვარჯისთავი“ გიორგი ეგნატაშვილი (ნამდვილი გვარი – იგნატიევი), ანტონ ლუკეშის მოწაფე და თავისი მოღვაწეობით ცნობილი გიორგი ნიკოლაძე და ტფილისურ „სოკოლთან“ უშუალოდ დაკავშირებული ადამიანები (გაიოზ ბერელაშვილი, დათა ჯავრიშვილი, თამარ ნიკოლაძე, ვანო ბერიძე, არჩილ ბაქრაძე, ირაკლი ლორთქიფანიძე და სხვა არაერთი) საქართველოს პატრიოტები რომ იყვნენ, ეს საკამათო საკითხი არაა; გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი ტფილისური „სოკოლი“ ქართული ეროვნული იდეებისგან შორს რომ არ ყოფილა, ეგნატაშვილსაც და ტფილისში ჩამოსულ გრუმლეკსა და ლუკეშს კარგად რომ ექნებოდათ გაცნობიერებული, დაპყრობილ საქართველოში მოღვაწეობისას, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გარდა, შეძლებისდაგვარად ქართულ ეროვნულ საქმესაც რომ ემსახურებოდნენ იმ ჩეხური საზოგადოების მიბაძვით, რომლის მსოფლმხედველობაც ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული, ქართული სულის აღორძინებისათვისაც რომ ხდებოდა იმ დროს ნიადაგის მომზადება, ეს უდავო ფაქტად მიგვაჩნია; იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში ეროვნულ იდეებზე თამამად რომ ვერ იქნებოდა ლაპარაკი, ესეც გასაგებია, მაგრამ ფაქტია, რომ მომავალში ძალუმი ქართული ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნიდნენ ზემოხსენებული სატანვარჯიშო საზოგადოებაც და სხვა კლუბებიც: – საფეხბურთო კლუბი „კომეტა“ (იგი საქართველოში მოქმედი სატანვარჯიშო საზოგადოების საფუძველზე იყო დაარსებული და მასში ასევე ქართული სპორტის ქომაგი ცნობილი პიროვნებები მოღვაწეობდნენ),[6] „ამირანი“ (იგი „ქართველ

[6] აქვე დავძენთ, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ **1907 წლის** ერთ-ერთ დოკუმენტში (საქ. ერ. არქ., საისტორიო არქ., ფონდი 17-1-5581; გვ. 15) ამ პიროვნებათა გვარ-სახელები ზოგან საქართველოში გავრცელებული ფორმებისაგან განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი; როგორც ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელ პირთაგან ითხოვენ, რომ 1906 წლის 4 მარტის დადგენილების საფუძველზე „კომეტას“ მმართველობის წევრთა სრული სია წარადგინონ; ადოლფ ადოლფის ძე **ელზინგერ**ის სახელით ცნობილი პიროვნება წარმოდგენილ საბუთში მოხსენიებულია ფორმით – **ელზენბერგი** (Эльзенберг), რისი მიზეზიც დასადგენია (ამ პიროვნების შეს. იხ. – ქართული სპორტი); არის შემთხვევა, როცა საქართველოში ვხვდებით სახელისა და გვარის ასეთ მოხსენიებას – **იური** ანდრეის ძე გაინე (დოკუმენტში კი სახელის ინიციალი, რომელიც დაზიანებულია, ჩანს, რუსული **О** ასოთი უნდა იყოს აღნიშნული), ვხვდებით მოხსენიების ასეთ ფაქტსაც: თედორე **მანუკას** ძე კორტუმი (ხსენებულ და სხვა პიროვნებათა შეს. იხ. გაბრიჭიძე, მ. 2024); ეს პიროვნება, შესაძლოა, ფიოდორ **მანუკის** ძე იყო... ერთ-ერთ სტატიაში (გაჩეჩილაძე, თ. 2017) ექიმ ჰაინეს სახელი მოხსენიებულია როგორც **ოტო**, რაც სავსებით სწორია, – უეჭველია, რომ ეს გახლავთ საქართველოში ცნობილი სტომატოლოგი, პროფესორი **ოტო ჰაინე**, რომელიც აქ ხსენებულ სხვა

მხედართა კავშირის“ შემადგენლობაში გაიოზ ბერელაშვილისა და დავით ჯავრიშვილის მიერ დაარსდა /იხ. – ამირანი, ქართული ენციკლოპედია) და „ქართველ მხედართა კავშირი“ (მისი ხელმძღვანელი კაკო კაკაბაძე გახლდათ, შემდგომში – „შევარდენის“ გამგეობის თავმჯდომარე /იხ. ნაცლიშვილი, პ. 2022: 250/, დამაარსებელი იყო პლატონ ლეჟავა, – 1919-1921 წწ-ში საქართველოს დამფუძნებელი კრების სამხედრო განყოფილების საქმეთა მმართველი); ეროვნული სულისკვეთების განმტკიცების იდეასთან ახლოს იდგნენ ეს საზოგადოებები და 1918 წელს უპრობლემოდ შეუერთდნენ ისინი „შევარდენს“; ამ წელს ტფილისის „სოკოლმა“ მოღვაწეობა შეწყვიტა და, რამდენადაც უდავო ჩანს, რომ მის სათავეებთან მყოფი ანტონ ლუკეში და გიორგი ეგნატაშვილი „შევარდნულ“ პოზიციებზე იყვნენ, შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოებაც, მისი ნაწილი, ასევე შეუერთდა „შევარდენს“ (ამ საკითხს ქვემოთაც შევეხებით); პანსლავურ იდეებზე არ ყოფილა დაფუძნებული ტფილისის „სოკოლი“ და ქართულ ეროვნულ სულს რომ არ ეწინააღმდეგებოდა მისი იდეოლოგია, ამას, ზემოხსენებული წესდების გარდა, ისიც ნათელჰყოფს, რომ, როგორც ზემოთ გამოჩნდა, რუსეთის სხვადასხვა სოკოლურ გაერთიანებაში მოღვაწე ქართველები მჭიდროდ იყვნენ ტფილისურ „სოკოლთან“ დაკავშირებულნი (გიორგი ნიკოლაძე ენაკიევოს „სოკოლის“ თავმჯდომარე, გაიოზ ბერელაშვილი მოსკოვის „სოკოლი II-ის, თამარ ნიკოლაძე პეტერბურგის „სოკოლი III-ის წევრები იყვნენ /ამ პიროვნებათა შეს. მონაცემები იხ. პაატა ნაცვლიშვილის ხსენებულ ნაშრომში – ნაცვლიშვილი, პ. 2022: 250); საერთოდ, ანტიქართული სულისკვეთების იდეოლოგია რომ შეენიშნათ, არ ითანამშრომლებდნენ ტფილისელ „სოკოლებთან“ ზემოხსენებული პიროვნებები; ვფიქრობთ, **არ არის საეჭვო, ეროვნული იდეოლოგიის განმტკიცებას შემლებისდაგვარად რომ უწყობდა ხელს ტფილისური „სოკოლი“** და, ცხადია, იმ ეროვნულ სულისკვეთებას რომ ემსახურებოდნენ „შევარდენის“ სხვა წინამორბედი ორგანიზაციები, რისი სრულად გამოვლენის საშუალებაც მხოლოდ მას შემდეგ მიეცათ, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა საქართველოში. როგორც ზემოთ გამოჩნდა, ეროვნულობა მათთვის სხვა ერებთან მეგობრობას თავისთავად გულისხმობდა; მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს დაცვა მიაჩნდათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად და, როგორც მათი არაერთი პუბლიკაცია მოწმობს, ბოლშევიკური რუსეთისაგან თავდასხმის საშიშროებასაც კარგად ხედავდნენ და მისგან დაპყრობის შემდეგ სამშობლოს უბედურებაზეც წერდნენ,[7] ქართველ „შევარდენთა“ შორის სხვა ხალხის მიმართ სიძულვილი

პიროვნებებთან ერთად ქართულ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა (ამ საკითხების შესახებ იხ. კუჭუხიძე, გ. შარაბიძე, ქ. 2025: 120-121).

[7] აქ გავიხსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო უკვე დაპყრობილი იყო, „შევარდენის“ ერთ-ერთ ნომერში (შევარდენი, 1922: 75-76) მარო მაყაშვილის, გაბრიელ გეხტმანისა და ირაკლი თოიძის დაღუპვის შესახებაც გაბედულად დაუწერიათ, რომ „შევარდენის“ ეს წევრები სამშობლოს დაცვას შეეწირნენ; 1922 წელს „შევარდენელი“ ივანე მაჭავარიანი წერდა: *«სამივენი შევარდნული სულის მატარებელნი იყვნენ; მათი გმირული სიკვდილი ჩვენს სიცოცხლეს შუქს მოჰფეს. [...] ისინი პირველი შევარდნები არიან, რომელთაც გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული [...] 1921 წელს,*

არ დათესილა და ხალხთა მეგობრობასა და ყველა ერში ურთიერთსიყვარულისაკენ მტკიცედ იყვნენ მომწოდებელნი; ხალხთა შორის მეგობრობის იდეას რომ იზიარებდა ტფილისური „სოკოლი“, ამ გარემოებაზე მის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ყოფნის ფაქტიც მეტყველებს; მათ პუბლიკაციებში ვხვდებით ისეთ ლოზუნგს, როგორიცაა *„ძმობა, ერთობა, თავისუფლება“...*

პაატა ნაცვლიშვილს ყურადღება აქვს გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ 1918 წელს „შევარდენის“ დაარსების ისტორიასთან დაკავშირებით არსებობს ცნობა, კერძოდ, – გიორგი ეგნატაშვილის *მიერ 1919 წლის 23 მარტს „შევარდების“ საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც ჟურნალ შევარდენის“ ერთ-ერთ ნომერში* გამოქვეყნდა და რომლიდანაც ჩანს, რომ „შევარდენის“ გამგეობის დამფუძნებელ კრებას, რომელიც 1918 წლის 25 აგვისტოს გაიმართა, ტფილისის „სოკოლის“ გამგეობის წევრთათვის უთხოვია, დარჩენილიყვნენ საზოგადოებაში, მომხსენებელს განუცხადებია, რომ საზოგადოების *„კარი ერთნაირად და თანასწორად ღიაა ყოველი რიგიანი საქართველოს მოქალაქისათვის, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა“;* მაგრამ, როგორც ამ მოხსენების ტექსტიდან ირკვევა, *„სამწუხაროდ კრების უმეტესობა განზე გადგა“* და უარი უთქვამთ შეთავაზებაზე (ნაცლიშვილი, 2022: 252); „კრების უმეტესობაში“, ჩანს, ტფილისის „სოკოლის“ წევრები იგულისხმებიან (სიტყვებიდან „კრების უმეტესობა“ ისიც ცხადი ხდება, ყველას რომ არ უთქვამს უარი), მათგან უარის თქმის კონკრეტული მიზეზები მოხსენებაში დასახელებული არ არის, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რამ გამოიწვია ეს უარი, – მართალია, პანსლავური იდეები არ ყოფილა ტფილისურ „სოკოლში“ გავრცელებული, მაგრამ, რადგან უდავოა, რომ „შევარდენი“ ქართული ეროვნული სულის აღორძინებას ისახავდა უმთავრეს მიზნად, ჩანს, ძველ წევრთა ნაწილისათვის სწორედ ეს გახდა მიუღებელი (საერთოდ, პანსლავურ იდეებთან მიახლოებული სულისკვეთება რომ არ იყო გაბატონებული ტფილისის „სოკოლსა“ და „გიმნასტიკურ საზოგადოებაში“, დამატებით ის ფაქტიც ცხადჰყოფს, რომ, საეჭვოა, განახლებულ ტფილისურ *სოკოლურ მოძრაობაში* /შეიძლება ასეც ითქვას – „შევარდენულში“/ დარჩენა შეეთავაზებინათ „შევარდენის“ დაარსების მოთავეებს მანამდე მოქმედი ტფილისური „სოკოლის“ გამგეობის წევრთათვის); ვფიქრობთ, ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ **ტფილისის „სოკოლი“ იმ საზოგადოებად უნდა განვიხილოთ, რომელიც ყველა ეროვნების ადამიანს უქმნიდა საშუალებას, ზოგადსაკაცობრიო იდეებისათვისაც ემსახურა და თავის ეროვნულ პრობლემებზეც ეზრუნა**, თავისი სამშობლო ეგულისხმა დევიზში – *„ფიქრში სამშობლო, გულში სიმარდე და მკლავში – ძალა“* და, აქედან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, რომ ხსენებული კრების დროს ეროვნულ ნიადაგზე განსაკუთრებული სახის განხეთქილება მოხდა (თუმც, ცალკეულ პირებში არც უამისობა იქნებოდა „შევარდენისაგან“ გამიჯვნის მიზეზი...), – ტფილისური „სოკოლის“ წევრთა უმეტესობისათვის არა ქართულ ეროვნულ პრობლემებზე ზრუნვა –

თებერვალში, თბილისის გარშემო ახმაურდნენ ზარბაზნები, ვერავითარმა მუდარამ და რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე. „მე იქ უნდა ვიყო, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი ჩემ თანამემამულეთა“-ო»...

არამედ რუსი ერის ან, საერთოდ, სლავი ხალხების პრობლემები იქნებოდა უმთავრესი საზრუნავი და, შესაძლოა, „შევარდენში“ დარჩენა ამიტომაც არ მიიჩნიეს საჭიროდ (მრავალთათვის კი, ალბათ, მთელ იმპერიას გულისხმობდა სახელმწიფოსათვის, ცხადია, სრულიად მისაღებ დევიზში ნახსენები სიტყვა – *სამშობლო*...); თუ „შევარდნებს“ ქართული ეროვნული პრობლემებისთვის მსახურების საშუალება მიეცათ, რუსი „სოკოლები“ ალბათ მიიჩნევდნენ, რომ თავიანთ პრობლემებზე „შევარდენისგან“ დამოუკიდებელ საზოგადოებაში უკეთ შეძლებდნენ მუშაობას...[8] ტფილისის „სოკოლთა“ ნაწილი და „შევარდნები“ ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგან **„სოკოლის“ ძველი მოთავეები**: ლუკეში და ეგნატაშვილი გიორგი ნიკოლაძესთან და სხვებთან ერთად „შევარდენის“ ეროვნულ იდეათა გამზიარებლები იყვნენ და 1918 წლიდან კი ქართული ეროვნული სულის მატარებლებად უკვე ბოლომდე გაცხადებულად წარმოჩდნენ, რამდენადაც ტფილისის „სოკოლის“ მრავალმა რიგითმა მოვარჯიშემ შემდგომში, ჩანს, „შევარდენში“ განაგრძო ვარჯიში, ამდენად, თავისუფლად შეგვიძლია, ტფილისური „სოკოლი“ „შევარდენის“ ერთ-ერთ „წინაპრად“ მივიჩნიოთ...

ეს და ტფილისის „სოკოლისა“ და „შევარდენის“ ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი მომავალში დეტალურ შესწავლას საჭიროებს (ხსენებულ საკითხებზე ამჟამად მუშაობს მკვლევართა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში, წინამდებარე სტატიის ავტორთა გარდა, შედიან: **ნათია დემურიშვილი, მაკა კომახიძე და მურად ფახურიძე**). ამჯერად სიტყვას აღარ განვავრცობთ და დავუბრუნდებით ძირითად სათქმელს:

---

[8] ამ საკითხებთან დაკავშირებით, ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, რომ 1937 წელს ბელგრადში ყრილობა და ფესტივალი გაიმართა და, არსებული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსული ემიგრანტული „სოკოლი“ წარმოდგენილი ყოფილა როგორც საზოგადოება, რომელიც ტფილისში დაარსდა; ყრილობის, თუ ფესტივალის, მონაწილის სამკერდე ნიშანზე (ილ. 9) ვკითხულობთ: “Союз Русс. Сокольства[.] XXX[.] Тифлисъ[.] Белградъ[.] 1907-1937” (ნაცვლიშვილი, პ. 1922: 249; მასალის ნახვა შესაძლებელია ინტერნეტშიც; კერძო კოლექციის მფლობელი – მიხაილ ტრენიხინი /ტრენიხინი, მ. 2021); ტფილისური „სოკოლის“ შთამომავლებად თავის დასახელება, ცხადია, კიდევ ერთხელ ადასტურებს, ამ ქალაქს რომ მიიჩნევდნენ რუსი ემიგრანტები „სოკოლის“ სამშობლოდ... ამასთან, არ არის გამორიცხული, “Тифлисъ” იმ სოლიდარობის გამოსაცხადებლადაც დაეწერათ ნიშანზე, რომელსაც 1922 წელს გაუქმებულ „შევარდენს“ უცხადებდნენ; თუმც, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, არც ის არის შეუძლებელი, რომ, ყველა თუ არა, „შევარდენს“ ჩამოცილებულ „სოკოლთა“ და რუს ემიგრანტთა ნაწილი, რომელიც გაემიჯნა „შევარდენს“, მხოლოდ თავიანთ წინამორბედ საზოგადოებად მიიჩნევდა ტფილისურ „სოკოლს“... როგორც ზემოთაც გამოჩნდა, ფაქტები უფრო იმ გარემოებაზე მეტყველებს, რომ, როგორც რუსეთის „სოკოლთა, ასევე „შევარდენთა“, საწყისები, ტფილისის გიმნასტიკურ საზოგადოებასთან ერთად, ამ ქალაქში მოქმედ „სოკოლთან“ იყო დაკავშირებული... ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, რომ საფრანგეთში 1927 წელს დაარსებული რუსული „სოკოლის“ საიუბილეო პლაკატზეც (1987 წ.) ტფილისი და 1907 წელია „სოკოლის“ ისტორიის დაწყების ადგილად და თარიღად დასახელებული; პლაკატზე ვკითხულობთ: “Tiflis. Paris. S. Petersbourg” (იხ. ნაცვლიშვილი, პ. 2022: 249).

დასკვნა: ვფიქრობთ, **საქართველოში და, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში გიმნასტიკურმა საზოგადოებამ *მაღალ სახელმწიფო დონეზე* 1881 წელს ტფილისიდან დაიწყო არსებობა** და, რამდენადაც ეს საზოგადოება, როგორც ჩანს, სახელმწიფოში *სოკოლური მოძრაობის* ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა, რადგან საფიქრებელია, რომ **ჩეხურ იდეებთან ისიც იყო ახლოს,** ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ მეფის რუსეთში ***სოკოლური მოძრაობის*** **საწყისებიც 1881 წელთან და ტფილისთან აღმოჩნდეს დაკავშირებული**. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ამ მიმართებით მომავალში დამატებითი მასალების ძიება და ინტენსიური კვლევა იქნება საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირანი, ქართული ენციკლოპედია: ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. https://georgianencyclopedia.ge/tes-medis/form/20477.

ანტონ ლუკეში. ქართული ენციკლოპედია: ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია https://www.georgianencyclopedia.ge/ka/pdf-export/28989 .

გაბრიჭიძე, მ. (2024). „ბურთის ფეხით მოთამაშეთა“ ქართული ისტორია. https://www.ambebi.ge/article/313634-rodis-daarsda-sakartveloshi-pirveli-sapexburto-gund/ (წვდომის თარიღი: 06.08. 2024).

გაჩეჩილაძე, გ. (2017). ქართული ფეხბურთი. https://sportall.ge/fexburti/qarthuli-fekhburthi/skhvadaskhva/101525-dghes-saqarthveloshi-fekhburthis-oficialurad-daregistrirebis-dghidan-110-tseli-shesrulda.html.

კუჭუხიძე, გ. (2024). საზოგადოება „შევარდენი“ როგორც კულტუროლოგიური ფენომენი და გერონტი ქიქოძის ერთი ნაშრომი; – სამეც. კრ. „ლიტერატურული ძიებანი“, XLIV, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თსუ.

კუჭუხიძე, გ. შარაბიძე, ქ. (2025). სოკოლური მოძრაობა და საქართველო XIX-XX სს-ის გზაშესაყარზე; – სამეც. კრ. XIX საუკუნე, ეპოქათა მიჯნა: თსუ.

ნაცვლიშვილი, პ. (2022). ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა, II. გამომც. პეტიტი;

სოკოლი 2012. Byli jsme a Budem, 150 let Sokola; From the Past We`ll Stand Forever; Agentura Leman.

სპორტული ტანვარჯიში: ბიბლიოვიკი. https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98

ქართული სპორტი. http://sport.gov.ge/?pg=sporttypes&sportid=51
http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=48
ქიქოძე, გ. (1919). ეროვნული ენერგია. თბილისი: მთავრობის სტამბა.
სპორტული სახეობები. http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=48
შევარდენი. (1920). ქუთაისის საზოგადოება „შევარდენის“ ორგანო; №2.
შევარდენი. (1922). საქართველოს შევარდენთა კავშირის ჟურნალი. დედაქალაქი: იანვარი-მაისი; №1.
Беляев. И. С. (1909). Двадцатипятилетие Русского гимнастического обшества в Москве; Исторический очерк; Москва, Синод. тип. http://elib.shpl.ru/ru/nodes/11726-belyaev-i-s-dvadtsatipyatiletie-russkogo-gimnasticheskogo-obschestva-v-moskve-xxv-4-maya-1883-1908-g-istoricheskiy-ocherk-m-1909.
Русский Сокол; Большая российская энциклопедия, РАН, Министерство Культуры Росийской Федерации; Москва. https://old.bigenc.ru/domestic_history/text/3521576 .
Sokol Museum Library: https://sokolmuseum.org/souvenirs-treasures/.
Сокольское движение (чеш. Sokol); Библиографическая энциклопедия Образование, Наука, Культура. http://dates.gnpbu.ru/2-7/Sokol/sokol.html.
Тренихин, М. (2021): Общество Сокол, Легионеры. Шевардени; Журн. Коллекция (Sammlung); Published on 29. 08. 2021. https://sammlung.ru/?p=38089.

REFERECES:

Amirani, kartuli entsiklopedia: kartuli entsiklopediis I. Abashidzis sakhelobis mtavari sametsniero redaktsia, sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademiia (Amiran, I. Abashidze Main Scientific Editorial Office of Georgian Encyclopedia). https://georgianencyclopedia.ge/tes-medis/form/20477.
Anton Lukeshi, kartuli entsiklopedia: kartuli entsiklopediis I. Abashidzis sakhelobis mtavari sametsniero redaktsia, sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademiia (Antom Lukesh, I. Abashidze Main Scientific Editorial Office of Georgian Encyclopedia). https://www.georgianencyclopedia.ge/ka/pdf-export/28989.
Gabrichidze, M. (2024): burtis pekhit motamasheta kartuli istoria" (History of "football players" in Georgia); ambebi.ge. 06.08. 2024. https://www.ambebi.ge/article/313634-rodis-daarsda-sakartveloshi-pirveli-sapexburto-gund/ .
Gachechiladze, G. (2017). kartuli pekhburti (Georgian football); Sportall.ge. https://sportall.ge/fexburti/qarthuli-fekhburthi/skhvadaskhva/101525-dghes-saqarthveloshi-fekhburthis-oficialurad-daregistrirebis-dghidan-110-tseli-shesrulda.html.
Belyaev, I. S. (1909). dzvadtsatyletye russkogo gimnatsicheskogo obshestva v Moskve, Istoricheskiy ocherk (Twenty-fifth anniversary of Moskow Gymnastic Society; Historical sketch); Moskva, sinod. tip. http://elib.shpl.ru/ru/nodes/11726-belyaev-i-s-dvadtsatipyatiletie-

russkogo-gimnasticheskogo-obschestva-v-moskve-xxv-4-maya-1883-1908-g-istoricheskiy-ocherk-m-1909 .

Kuchukhidze, G. (2024). sazogadoeba "Shevardeni" rogorts k'ulturologiuri penomeni da Geroni Kikodzis erti nashromi (Society Shevardeni as a culturological phenomenon and One of Geronti Kikodze's Works); in: "literaturuli dziebani", Shota Rustavelis sakhelobis kartuli literaturis instituti, TSU.

Kuchukhidze, G. Sharabidze, K. (2025). sok'oluri modzraoba" da Sakartvelo XIX-XX ss-is gzashesakarze (Sokol Movement and Georgia at the Ruen of XIX-XX Centuries); in: XIX sauk'une, epokata mijna; TSU.

Natsvlishvili, P. (2022). tskhovreba Giorgi Nikoladzisa (The Life of Giorgi Nikoladze, II). gamomts. petiti.

Sokoli. (2012). Byli jsme a Budem, 150 let Sokola (From the Past We`ll Stand Forever); Agentura Leman.

Sokolskoe dvijenye (ches. Sokol) (The Sokol movement /Czech Sokol); bibliographichekaya entsiklopedya: Obrazovaniye, nauka, k'ultura. http://dates.gnpbu.ru/2-7/Sokol/sokol.html

Sokol Museum Library. https://sokolmuseum.org/souvenirs-treasures/

Sportuli sakheobebi (sports types). http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=48

Sportuli t'anvarjishi (Gymnastics); "biblioviki". https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.

Kikodze, G. (1919). erovnuli energia (National Energy). Tbilisi: mtavrobis stamba.

Trenikhin, M. (2021). Obshestvo Sokol, Legionery, Shevardeni (Sokol Society, Legionnaires. Shevardeni); Magz. Sammlung; Published on 29. 08. 2021. https://sammlung.ru/?p=38089

Russkij Sokol (Russian Sokol): Bolshjaya rossiiskaya entsiklopedya, ran, ministerstvo kultury Rosijskoj Phederatsii, Moskva. https://old.bigenc.ru/domestic_history/text/3521576 .

K'artuli sporti. (Georgian sports) http://sport.gov.ge/?pg=sporttypes&sportid=51.

Shevardeni. (1920). kutaisis sazogadoeba shevardenis organo (Magazine of the Kutaisi Society Shevardeni; № 2).

Shevardeni. (1922). shevardenta kavshiris jurnali; deda-kalaki; ianvari-maisi; №1(Magazine of the Society Shevardeni. Capital of Georgia: January-May, №1).

ილუსტრაციები:

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12



13

14

15

16

17

18